



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 200

“ 26 ” აპრილი 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №25, №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.39.101; №81.02.96.844; №81.02.96.845; №81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 17 აპრილის №24.664.752 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა №25, №29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №81.02.39.101; №81.02.96.844; №81.02.96.845; №81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №012308468-67 (№012313320-67; №012316890-67; №01232293044-67; №01232633461-67; №01232791392-67; №01233518-67; №012406321-67; №0124101533-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.664.752
17 / აპრილი / 2024 წ.

ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 25 მარტს N012308468-67 (N012313320-67; N012316890-67; N01232293044-67; N01232633461-67; N01232791392-67; N01233518-67; N012406321-67; N0124101533-67) განცხადებით მიმართეს ნიკოლოზ ჩხეიძემ (პ/ნ 01017022627) და სხვებმა და მოითხოვეს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843). საპროექტო მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობია 5510კვ.მ (რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ჯამი - 5509 კვ.მ, ხოლო 1 კვ.მ-ით მეტი აიხსნება ნაკვეთებს შორის არსებული მცირე ცარიელი სივრცეებით.)

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N665 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

შემოთავაზებული წინადადების მიხედვით, ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საცხოვრებელი ზონა 1-ითა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ით. საპროექტო ტერიტორიაზე იგეგმება ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება და საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. არსებული გეგმარებითი გადაწყვეტით ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შიდა საუბნო გზა, რომელიც უნდა მოეწყოს რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების გამოყენებით, მისი ფართობია 438 კვ.მ. თითოეულ მიწის ნაკვეთს პროპორციულად მოაკლდა ტერიტორიის ნაწილი და ისინი შემდგენიარად ჩამოყალიბდნენ: ნაკვეთი N1 - 1381 კვ.მ (ს/კ: N81.02.96.845); ნაკვეთი N2 - 1381 კვ.მ (ს/კ: N81.02.96.844); ნაკვეთი N3 - 1382 კვ.მ (ს/კ: N81.02.96.843); ნაკვეთი N4 - 928 კვ.მ (ს/კ:



N81.02.39.101). საუბნო გზისათვის განკუთვნილი ფართობზე გავრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), ასევე, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდება და მიწის ნაკვეთების ნაწილი დაიტვირთება სერვიტუტით: N1- 62.7 კვ.მ; N2-59.9 კვ.მ; N3-58.1 კვ.მ; N4- 36.2 კვ.მ. ამდენად, გეგმარებით არეალში მოქცეულმა გზისთვის გათვალისწინებულმა ფართმა შეადგინა 655.0 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ტექ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საპროექტო არეალის ჯამური ფართობი: 5509 კვ.მ.

საპროექტო მიწის ნაკვეთების რაოდენობა - 5

სამშენებლო მიწის ნაკვეთები - 4

სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთი - 1

N1-N2-N3-N4 ნაკვეთებზე დადგენილია საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), შემდეგი მაჩვენებლებით:

სზ-1

კ-1=0,5;

კ-2=0,8;

კ-3=0,4

შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა - 15 მეტრი/3 სართული.

ტზ-1

კ-1 = -;

კ-2 = -;

კ-3=0,1;

N5 ნაკვეთზე დადგენილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)

ტზ-1

კ-1 = -;

კ-2 = -;

კ-3=0,1;

არსებული ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ- 1). შესაბამისად, გათვალისწინებულია ფუნქციური ზონის ცვლილება.

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1)- ფართობი - 4855 კვ.მ.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)- ფართობი - 655 კვ.მ.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 25 მარტის N01240853345 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 16 აპრილის N0124107169 წერილის შესაბამისად, სააგენტო აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N012308468-67 (N012313320-67; N012316890-67; N01232293044-67; N01232633461-67; N01232791392-67; N01233518-67; N012406321-67; N0124101533-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩა N25, N29-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.39.101; N81.02.96.844; N81.02.96.845; N81.02.96.843) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე შენებლობის ნებართვის გაცემა უნდა განხორციელდეს საპროექტო ტერიტორიაზე ბიოლოგიური გამწმენდი სადგურის (ბიოტალების/სეპტიკების) განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ.

3.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 0124107169
თარიღი: 16/04/2024

2024 წლის 10 აპრილის N 0124101533-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, მუხრან-თელეთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.96.845, 81.02.96.843, 81.02.96.844, 81.02.39.101) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომელიც შესაბამისობაშია წარმოდგენილ საპროექტო გეგმარებასთან და ასევე, შესაბამისი თანხმობის წერილები (N16-01240533299, 22/02/2024; MIA 5 24 00569022, 26/02/2024).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი არ არის.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01240853345
თარიღი: 25/03/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 3 მარტის №012406321-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 81.02.96.845, 81.02.96.844, 81.02.96.843, 81.02.39.101; არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1); **საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-1 და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)**) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**საპროექტოდ დასარგავი: 8 ძირი ცაცხვი; 11 ძირი ნაძვი; ჯამში - 19 ერთეული**) სრულად ითვისებს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს ($ტზ-1 = 0.1 = 65.5 \text{ მ}^2$).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებელმა, დეტალური პროექტირების ეტაპზე, დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფაზე 19 ძირი ნაძვის ნაცვლად უნდა მიუთითოს 8 ძირი ცაცხვი და 11 ძირი ნაძვი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



